საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

14 მაისი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №139/17

-- -- (მოსარჩელის, -- -- წარმომადგენელი) 2017 წლის 02 აგვისტოს №-- -- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის (2018 წლის 01 მაისამდე არსებული რედაქციით) შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 20 აპრილის №139/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, -- -- 2016 წლის 20 დეკემბერს -- -- საქმეზე გამოიტანა გადაწყვეტილება, თუმცა, დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეებს არ ჩააბარა კანონით განსაზღვრულ ვადაში. აღნიშნული იწვევს -- -- უფლებების შელახვას, რადგან ვერ ხდება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრება. -- -- არის არასრულწლოვანი. საქმე ეხება მის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის ფაქტს და ამის საფუძველზე, მოპასუხისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებას. ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მოსარჩელეს მიეცეს მართლმსაჯულების დროულად განხორციელების შესაძლებლობა.

საჩივრის ავტორის აზრით, მოსამართლე -- -- დაარღვია მოსამართლეთა ეთიკის წესების მე-8 მუხლი, რომლის მიხედვით, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. საქმის მასალებით დასტურდება, რომ -- -- და მისი კანონიერი წარმომადგენლის, -- -- წარმომადგენლებმა, -- -- და -- -- 2016 წლის 08 თებერვალს სარჩელით მიმართეს -- -- საქალაქო სასამართლოს და მოითხოვეს, -- -- მხრიდან დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის აღიარება და ამის საფუძველზე, მიყენებული მორალური ზიანის, 5 000 ლარის ანაზღაურება. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2016 წლის 10 თებერვლის განჩინებით -- -- სარჩელს დაუდგინდა ხარვეზი და მოსარჩელეს ხარვეზის აღმოსაფხვრელად განესაზღვრა 05 დღიანი ვადა (მოსარჩელეს უნდა მიეთითებინა, როდის მოხდა დისკრიმინაციის ფაქტი და დაეზუსტებინა სასარჩელო მოთხოვნა).

2016 წლის 18 თებერვლის განჩინებით ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული 05 დღიანი ვადა გაგრძელდა კიდევ 03 დღით.

ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ განცხადებით მოსარჩელის წარმომადგენელმა მოსამართლეს მიმართა 2016 წლის 26 თებერვალს.

2016 წლის 29 თებერვლის განჩინებით სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში.

2016 წლის 11 მარტს მოპასუხემ წარმოადგინა შესაგებელი, რომლითაც არ დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას.

2016 წლის 12 მარტს მოსარჩელემ წარმოადგინა სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხისათვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საქმეზე გაიმართა რამდენიმე მთავარი სხდომა, 2016 წლის 13 მაისს, 2016 წლის 22 ივლისს, 2016 წლის 28 ოქტომბერს და 2016 წლის 20 დეკემბერს.

საბოლოო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი მოსამართლემ გამოაცხადა 2016 წლის 20 დეკემბრის სხდომაზე. 2016 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით, მოსარჩელის, -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა და მას უარი ეთქვა დისკრიმინაციის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებაზე. სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდა მოსარჩელე -- -- და მისი კანონიერი წარმომადგენელი, -- --.

2017 წლის 23 იანვარს მოსარჩელის წარმომადგენელმა, -- -- განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- და მოითხოვა, დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარება.

დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეებს გაეგზავნათ 2017 წლის 17 აგვისტოს და ჩაბარდათ 2017 წლის 18 აგვისტოს.

მოსარჩელემ 2016 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება 2017 წლის 01 სექტემბერს გაასაჩივრა სააპელაციო წესით. საქმის განხილვა ამ დროისთვის -- -- სააპელაციო სასამართლოში არ დასრულებულა.

2.2. 2016 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსამართლე -- -- 2016 წელს განსახილველად გადაცემული ქონდა 963 საქმე, რომელთაგანაც დაასრულა 492 საქმის განხილვა (51%). 2017 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსამართლე -- -- 2017 წელს განსახილველად გადაცემული ქონდა 739 საქმე, რომელთაგანაც დაასრულა 426 საქმის განხილვა (57.6%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა

-- -- (მოსარჩელის, -- -- წარმომადგენელი) 2017 წლის 02 აგვისტოს №-- -- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით (2018 წლის 01 მაისამდე არსებული რედაქციით) გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წინასწარი შემოწმების შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აფასებს მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობას და წინასწარი შემოწმებისათვის ამ კანონის 75^7 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დისციპლინურ საქმეს დაერთვება.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცხრა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ არსებობდა დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველი, ხოლო ოთხმა წევრმა მიიჩნია, რომ არსებული ფაქტობრივი გარემოებები არ ქმნიდა მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების ცალსახა საფუძველს და მხარი დაუჭირა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას.

ამდენად, ვინაიდან, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ მას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3 (მინიმუმ 10 წევრი) დაუჭერს მხარს, ხოლო მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებას და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცხრა წევრმა დაუჭირა მხარი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოსამართლე -- --- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^8 მუხლის პირველი პუნქტით,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №139/17, მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი